



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080137829477019

№ 1450

12 / მარტი / 2019 წ.

შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ონის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT180015274;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკის“ (ს/ნ: 412671899);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 16 იანვარს წარმოდგენილ იქნა ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 16 იანვრის №04-211 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №430), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკის“ (ს/ნ: 412671899) მიერ NAT180015274 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 31 ოქტომბრის № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის inga-shalikiani@mail.ru მეშვეობით, 2019 წლის 22 იანვრის №244 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2019 წლის 30 იანვარს შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკისმა“ წარმოადგინა 2019 წლის 29 იანვრის განმარტება (რეგისტრაციის № 1046) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 31 ოქტომბრის № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სევაში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 19 758,26 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 20 იანვარი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 20 დეკემბრის №2537 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 31 ოქტომბრის № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკის“ დააკისრა პირგასამტეხლო 197,58 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტებით, სამუშაოების შესრულება შეაფერხა ნალექიანმა ამინდმა, რაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ გაიზიარა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 24 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT180015274 ელექტრონული ტენდერი გზატკეცილების, გზების მშენებლობის (CPV45233100) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 24 ოქტომბრის №3 სხდომის ოქმით შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“ (ს/ნ: 412671899) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2018 წლის 31 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სევაში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 19 758,26 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 20 იანვარი.

4.4. ონის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 8 ნოემბრის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ დაუწყია სამუშაოების შესრულება.

4.5. ონის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 12 დეკემბრის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელი ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს და შესრულებული ჰქონდა სამუშაოების დაახლოებით 10-15%.

4.6. ონის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 12 დეკემბრის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები შეფასდა უარყოფითად.

4.7. 2018 წლის 14 დეკემბრის № 1/70 წერილით მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ სამუშაოების შესრულება შეაფერხა ნალექიანმა ამინდმა, რის გამოც, მან მოითხოვა ვალდებულებების შესრულების ვადის გაგრძელება 20 დღით.

4.8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წლის 20 დეკემბრის №2537 ბრძანებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 31 ოქტომბრის № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“ დააკისრა პირგასამტეხლო 197,58 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ვერ გაიზიარებს მიმწოდებლის პოზიციას ნალექიანი ამინდის გამო სამუშაოების შესრულების შეფერხებასთან დაკავშირებით, ვინაიდან არ დასტურდება მიზმშედგობრივი კავშირი ნალექიან ამინდსა და სამუშაოების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით. ამდენად, ხსენებული ვითარება არ წარმოადგენს ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან განმათავისუფლებელ გარემოებას.

7.4. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 31 ოქტომბრის № 10/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მიიღო ვალდებულებების ხარვეზიანი შესრულება. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მიიღო ვალდებულებების ხარვეზიანი შესრულება. შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ა.ლ.მ. ევროტექნიკსი“ (ს/ნ: 412671899) 2019 წლის 13 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე